ხელშეკრულება №56

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი . 20 მაისი 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **დავით დოიაშვილის სახით** და მეორეს მხრივ, **შპს „ერქ ტექსტილი გეორგია“ (საიდ. კოდი –202337015)** (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 ხელშეკრულების საგანია **სპექტაკლისთვის „თამაში“ და „კარმები“ საჭირო ქსოვილების შესყიდვა** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 **CPV-19200000, 18420000**

1.3 ხელშეკრულების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10’ მუხლის III პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის #99 განკარგულება.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **15,40 (თხუთმეტი ლარი 40 თეთრ)** ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიმწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში **საკუთარი** სახსრებიდან.

2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 **სამუშაო დღისა.**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **10 სამუშაო დღის ვადაში.**

3.2 შესყიდვის განხორციელების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნვლყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ სასაქონლო ზედნადების წარდგენას.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და სასაქონლო ზედნადების ელექტრონულ პორტალზე ატვირთვის შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტი მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4.3 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის გათვალისწინებით.

5.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:
- განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დროულად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

7. სხვა პირობები

7.1 სადავო საკითხის არსებობისას შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით;
7.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

"შემსყიდველი"

სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის
მუსიკალური კომედიისა და დრამის
პროფესიული სახელმწიფო თეატრი
იურიდიული მისამართი:
დავით აღმაშნებელის გამზ. 127
ს/კ - 201948928

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
დავით დოიაშვილი

_____

Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre

Digitally signed by Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre
Date: 2019.05.20 16:28:35 +04'00'

"მიმწოდებელი"

შპს „ერქ ტექსტილი გეორგია"
საიდ. კოდი –202337015
მის:თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 146
ბანკი: სს „იშბანკი საქართველო" ISBKGE22
ანგ # GE53IS0000646397897006

_____-----_____

(მიმწოდებლის ხელმოწერა)